



Junior Achievement Georgia

ხელფასთან (გადახდის წყაროსთან) დაკავებული გადასახადები და გადასახდელები

ქეისის ავტორი: ეკა გეგეშიძე

რედაქტორი: გიორგი ჭილაძე

პროექტი: აღმშენებლობა სოციალური მეწარმეობით

აქსელერატორ_X | სოციალური მეწარმეობის პროგრამა

აქსელერაციის პროგრამის, ეს სასწავლო მასალა, მომზადდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. ამ დოკუმენტის შინაარსი მთლიანად „Junior Achievement Georgia“-ს პასუხისმგებლობაა და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის პოზიციის ამსახველად.

2025



სასწავლო მიზნები:

- ✓ გადასახადის დეკლარირების და გადახდის მნიშვნელობა.
- ✓ RS.ge პლატფორმის გამოყენება - როგორ შევავსოთ ელექტრონული დეკლარაცია.
- ✓ საპენსიო სააგენტოს პლატფორმის გამოყენება.
- ✓ გადასახადის გადაუხდელობა - რა შედეგები შეიძლება დადგეს გადასახადის გადაუხდელობის დროს.

საშემოსავლო გადასახადი არის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, რომლის გადამხდელს წარმოადგენენ რეზიდენტი ფიზიკური პირები, ასევე არარეზიდენტი ფიზიკური პირები, რომლებიც შემოსავალს იღებენ საქართველოში არსებული წყაროდან;

ხელფასი იხეგრება საშემოსავლო გადასახადით - 20 %

სიტუაცია:

- ნიკა მახარაძე, 30 წლის და ზურა ხუნდაძე, 50 წლის, მუშაობენ შპს "სალუტში" (IT კომპანია).
- ნიკა მუშაობს პროგრამისტად, მისი ყოველთვიური ხელფასია 3000 ლარი, ხოლო ზურა მუშაობს ქსელის ადმინისტრატორად და მისი ყოველთვიური ხელფასი 2500 ლარია.
- ნიკა ჩართულია დაგროვებით საპენსიო სისტემაში, ხოლო ზურა - არა.

დაგროვებით საპენსიო ფონდში ჩართულ თანამშრომელზე საპენსიო შენატანი შეადგენს 2%-ს ხელფასიდან და, ამასთანავე, კომპანიაც ვალდებულია, რომ დამატებით 2% გადაიხადოს თანამშრომლისთვის. თუმცა, ხელფასიდან კავდება მხოლოდ 2%.

რადგან ზურა არ არის ჩართული საპენსიო სქემაში, მისი დაბეგვრის წესი არ იცვლება.

ნიკას ხელფასის და გადასახადების გაანგარიშება (დაგროვებით საპენსიოში სქემაშია ჩართული):

1. დაგროვებით საპენსიო ფონდში გადასახდელი თანხა:
 $3000 \text{ ლარი} \times 2\% = 60 \text{ ლარი}$
2. დაბეგვრისთვის დარჩენილი შემოსავალი:
 $3000 \text{ ლარი} - 60 \text{ ლარი} = 2940 \text{ ლარი}$
3. საშემოსავლო გადასახადი:
 $2940 \text{ ლარი} \times 20\% = 588 \text{ ლარი}$
4. "ხელზე" ასაღები თანხა:
 $2940 \text{ ლარი} - 588 \text{ ლარი} = 2352 \text{ ლარი}$

ზურას ხელფასის და გადასახადების გაანგარიშება (არ არის ჩართული დაგროვებით საპენსიო სქემაში):

1. დაბეგვრისთვის დარჩენილი შემოსავალი:
ზურას არ უწევს საპენსიო თანხის გადახდა, ამიტომ 2500 ლარი არის დასაბეგრი შემოსავალი.
2. საშემოსავლო გადასახადი:
 $2500 \text{ ლარი} \times 20\% = 500 \text{ ლარი}$
3. "ხელზე" ასაღები თანხა:
 $2500 \text{ ლარი} - 500 \text{ ლარი} = 2000 \text{ ლარი}$



სახელფასო უწყისი

შპს "სალუტი" | თვე: იანვარი

თანამშრომელი	ხელფასი (ლარი)	საპენსიო გადასახადი (2%)	დასაბეგრი ხელფასი (ლარი)	საშემოსავლო გადასახადი (20%)	"ხელზე" ასაღები თანხა (ლარი)
ნიკა მახარაძე	3000	60	2940	588	2352
ზურა ხუნდაძე	2500	-	2500	500	2000
სულ ჯამში	5500	60	5440	1088	4352

- ✓ საპენსიო ფონდში გადასარიცხი თანხა: 60 ლარი (ნიკას სახელზე). ამასთანვე, მას უნდა დაემატოს 60 ლარი კომპანიისგან, რაც ჯამში შეადგენს 120 ლარს.
- ✓ საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში გადასახდელი თანხის ოდენობა: 1088 ლარი.
- ✓ "ხელზე" ასაღები თანხის ჯამი: 4352 ლარი.

უწყისიდან ნათლად ჩანს როგორც თითოეული თანამშრომლის სახელფასო მონაცემები, ისე დამსაქმებლის მიერ გადასახდელი გადასახადების დეტალები.

დამსაქმებლის ვალდებულებები:

- ნიკასთვის ბიუჯეტში გადასახდელი თანხა:
 - საშემოსავლო გადასახადი: 588 ლარი
 - დაგროვებით საპენსიო ფონდში გადასახდელი თანხა: 120 ლარი
- ზურასთვის ბიუჯეტში გადასახდელი თანხა:
 - საშემოსავლო გადასახადი: 500 ლარი

საერთო ჯამში, დამსაქმებელი ბიუჯეტში და საპენსიო ფონდში გადაიხდის: $588 + 120 + 500 = 1208$ ლარს.

გადარიცხვა:

- გამოთვლილი საშემოსავლო გადასახადის გადარიცხვა ხდება სახელმწიფო ხაზინაში:

სახაზინო კოდი: 101001000

- სსიპ საპენსიო სააგენტო ანგარიშების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ლინკზე: <https://www.pensions.ge/ka/for-participants/bank-accounts>

ნაბიჯი 2: დეკლარაციის შევსება

- საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ყველა დასაქმებულზე მოხდეს საპენსიო შენატანების და საშემოსავლო გადასახადების გადასახდელი თანხების დეკლარირება.
- თუ კომპანია არ დაადეკლარირებს გადასახადებს, ეს იქნება კანონდარღვევა, რასაც შეიძლება მოჰყვეს ფინანსური ჯარიმები ან სანქციები. თუ დეკლარირება მოხდა დაგვიანებით, ასეთ შემთხვევაში ჯარიმა შეადგენს გადასახდელი თანხის 10%. თუ გადასახადის შემცირება ან მისი დეკლარირებისგან თავის არიდება დადგინდა საგადასახადო შემოწმების დროს საჯარიმო თანხა



იქნება გადასახდელი თანხის 50%. ხოლო თანხის გადაუხდელობისთვის საურავი შეადგენს გადაუხდელი გადასახადის თანხის 0,05% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

- საგადასახადო აგენტი გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, თუმცა გადასახადს იხდის ხელფასის გადახდისთანავე.

1. RS.ge - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ელექტრონული მომსახურების პლატფორმაზე (rs.ge) შპს „სალუტის“ ფინანსური მენეჯერი ან ბუღალტერი, ახორციელებენ შემდეგ პროცედურებს

- სისტემაში შესვლა: შეუძლია შეიყვანოს მისი პირადი მონაცემები (ID ნომერი და პაროლი).

- დეკლარაციის შევსება:

ვირჩევთ გრაფას „საშემოსავლო“ და ვიწყებთ დეკლარაციის შესვლას

ვირჩევთ „ახალი დეკლარაცია“

[illegible][illegible]
$$3000 - 60 = 2940$$

და დეკლარაციას ვაგზავნით საგადასახადო ორგანოში.

WE SHARE
SHAH

